ახალი საქართველო

395 (3) 4 მარტი, 2019 წ.

რა მასშტაბური პროექტები განხორციელდება 2019 წელს იმერეთში, რა ღონისძიებები ტარდება რეგიონში ტურიზმის განვითარების მიზნით- ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ვრცელი ინტერვიუ იხილეთ იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულთან შავლეგო ტაბატაძესთან.

სულ რამდენიმე თვეა, იმერეთის მხარის რწმუნებულის პოსტს შავლეგო ტაბატაძე იკავებს. ბატონი შავლეგო უფლებამოსილების განხორციელებას გასული წლის აგვისტოს თვიდან შეუდგა. რა კუთხით უნდა განვითარდეს რეგიონი, რა მასშტაბური პროექტები განხორციელდება მიმდინარე წელს - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე იმერეთის მხარის რწმუნებულს, შავლეგო ტაბატაძეს, ვესაუბრეთ.

-ბატონო შავლეგო, როგორც ვიცით, ძალიან აქტიური კომუნიკაცია გაქვთ მოსახლეობასთან, სისტემატურად მართავთ შეხვედრებს და ადგილზე ეცნობით პრობლემებს. რა არის ის ძირითადი საკითხები, რის მოგვარებასაც მოქალაქეები ითხოვენ?

– დანიშვნის დღიდან ჩემი პრიორიტეტია, მოსახლეობა აქტიურად ჩაერთოს საკუთარი მუნიციპალიტეტის განვითარებაში და მათგან მოვისმინოთ ყველა ის საკითხი, რაც აქტუალურია, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. სწორედ ამ მიზნით სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში შეიქმნა სამი ჯგუფი და დავგეგმეთ, იმერეთის 554–ვე სოფელში ჩავიდეთ და ხალხს მოვუსმინოთ. ამ მიმართულებით ჭიათურიდან დავიწყე მუშაობა და პრობლემების მოსმენა. შეხვედრებზე, ძირითადად, მოსახლეობა სასმელი წყლის სისტემისა და გზების მოწესრიგებას, გაზიფიცირებას, გარე განათებას, სკოლამდელი დაწესებულებებისა და სპორტული მოედნების აშენება–რეაბილიტაციას ითხოვს. სოფლებში, სადაც უკვე ვიყავი, პრობლემები იდენტურია, მაგრამ ჩამონათვალიდან ისინი ირჩევენ პრიორიტეტებს, რისი გაკეთებაც პირველ ეტაპზე სურთ. ჩვენ ყველა ამ საკითხს ვინიშნავთ, ვაანალიზებთ და საბოლოოდ გავაკეთებთ ერთიან ბაზას, სადაც აისახება ყველა საკითხი, განისაზღვრება პრიორიტეტები და ეტაპობრივად მოხდება მათი გადაჭრა. ეს ბაზა დაგვეხმარება, გეგმიურად განვახორციელოთ პროექტები და თითოეული მუნიციპალიტეტი განვავითაროთ სწორად.

სოფლების განვითარებისა და არსებული პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით, სახელმწიფომ ნამდვილად კარგი პროექტი აღადგინა. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში პირველ ეტაპზე 20 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, თუმცა ეს თანხა გაორმაგდა და ახლა 40 მილიონი ლარია გათვალისწინებული. იმერეთის სოფლებში აქტიურად მიმდინარეობდა კრებების ჩატარება და მოსახლეობამ თავად მიიღო გადაწყვეტილება, რა სჭირდება სოფელს პირველ ეტაპზე. კრების შედეგად ისინი შეთანხმდნენ და ერთობლივად განსაზღვრეს პროგრამის ფარგლებში 2019 წელს რომელი პროექტი განხორციელდეს მათს დასახლებებში. ეს არის კიდევ ერთი კომპონენტი იმისა, რომ სოფლად უფრო მეტი პროგრამა განხორციელდეს, ვიდრე იყო გასულ წელს. რამდენიმე სოფელში დავესწარი კრებას და მინდა გითხრათ, რომ თითოეული მოქალაქე აქტიურად არის ჩართული, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობა, საბოლოოდ, მაინც თანხმდებიან.

„ჩემი ჰიპოთეზაა, მოსახლეობა აქტიურად ჩაეთოს საკუთარი მუნიციპალიტეტის განვითარებაში“

-გვესაუბრეთ იმ მასშტაბურ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც იმერეთის რეგიონში 2019 წელს იგეგმება.

-იმერეთის რეგიონში 2019 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის გამოყოფილია 330 595 589 ლარი. აქედან თანხის უმეტესი ნაწილი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის დაიხარჯება. 12–ვე მუნიციპალიტეტში რეაბილიტაცია ჩაუტარდება როგორც ცენტრალურ ქუჩებს, ასევე სოფლებამდე მისასვლელ და შიდასაუბნო გზებს. შემიძლია რამდენიმე მასშტაბური პროექტი გამოვყო. ამ ეტაპზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ძირულა–ხარაგაული–მოლითის 25-კმ–იანი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და მალევე დაიწყება მოლითი–ფონა–ჩუმათელეთის 25 -კილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაც. ზემოთ აღნიშნულ ორივე ლოტს აზიის განვითარების ფონდი 80 მილიონი დოლარით აფინანსებს.

ასევე, აქტიურად მიმდინარეობს ბაღდათი–აბასთუმანი–ბენარას საავტომობილო გზის 20 - კმ–იანი მონაკვეთის მშენებლობა. აღნიშნული გზა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და ორ რეგიონს - იმერეთსა და სამცხე–ჯავახეთს – აკავშირებს ერთმანეთს.

ჩვენი რეგიონი და, ზოგადად, აღმოსავლეთ საქართველო უმოკლესი გზით კიდევ ერთ რეგიონს, რაჭას, დაუკავშირდება. ვგულისხმობ საჩხერე–ონის დამაკავშირებელ გზას, რომლის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა. ამჟამად მიმდინარეობს მეორე ეტაპის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც დაიგება გზის 5,5 კმ მონაკვეთი. საბოლოო ჯამში კი 50 კმ–ზე მეტი გზა უნდა დაიგოს. პროექტი 2 ხიდის მშენებლობასა და სანიაღვრე არხების მოწყობასაც ითვალისწინებს და იგი 2020 წელს დასრულდება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი, რომელიც ტყიბულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება. საუბარია ორპირი–სოჩხეთის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაზე, რომლითაც 15 სოფელი ისარგებლებს.

ჩემი მოთხოვნა არის, როგორც მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების, ასევე სამშენებლო კომპანიების მიმართ, რომ ტენდერების მოგების შემთხვევაში მაქსიმალური ყურადღება მიექცეს სამუშაოების ხარისხიანად და ეფექტურად შესრულებას. ასევე მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ვადები და ყველა სამშენებლო კომპანიამ ობიექტები უნდა დაასრულოს მოცემულ პერიოდში, რათა მოსახლეობას დროულად შეუსრულებელი სამუშაოების გამო დისკომფორტი არ შეექმნას.

-იმერეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტს წყალმომარაგების პრობლემა აქვს. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?

-წყლის პრობლემა რეგიონში მეტ–ნაკლებად არსებობს. აღარ მინდა, დეტალურად შევეხო ამ კუთხით ქუთაისში არსებულ მდგომარეობას. ყველამ კარგად იცით, რა ხარვეზებიც იყო. მოსახლეობისთვის მთავარია, როდის მიიღებს წყალს გრაფიკის გარეშე. ჩემი ინფორმაციით, სრული წყალმომარაგება ქალაქს 2019 წლის ზაფხულში ექნება. გარდა ამისა, ამ კუთხით სამუშაოები მიმდინარეობს ჭიათურაშიც. პროექტის განხორციელებისთვის აზიის განვითარების ბანკიდან 36, 6 მილიონი ლარია გამოყოფილი და სამუშაოების დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის სრული წყალმომარაგება მოხდება. ასევე წლის განმავლობაში ამ მიმართულებით სხვადასხვა პროექტის განხორციელებაც იგეგმება და უფრო მეტი სამუშაოები ჩატარდება, ვიდრე წინა წლებში ხორციელდებოდა. რეგიონში გვაქვს ისეთი სოფლები, სადაც წყალმომარაგება მოსახლეობისთვის პრობლემას წარმოადგენს. თუმცა გარკვეულ ნაწილში არის რეზერვუარები, რომლის რეაბილიტაციის შედეგადაც შევძლებთ, მოსახლეობას მივაწოდოთ წყალი. ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ და მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ 2019 წელს სამუშაოები თითოეულ ასეთი ტიპის სოფელში განვახორციელოთ.

- რა ტემპით მიმდინარეობს იმერეთში გაზიფიცირება?

- გაზიფიცირებას რაც შეეხება, არსებული ინფორმაციით, 2019 წელს დაგეგმილია 25–მდე სოფელში გაზიფიცირებისთვის საჭირო სამუშაოების დაწყება. ასევე არის სოფლები, სადაც წელს პროექტირება მოხდება და 2020 წელს დაიწყება სამუშაოები. იმერეთის სოფლების უმრავლესი ნაწილი გაზიფიცირებულია, თუმცა ჩვენი მიზანია, რეგიონის ყველა სოფელს ჰქონდეს ბუნებრივი აირი და მუშაობას ამ კუთხითაც აქტიურად გავაგრძელებთ.

- როგორც ვიცით, ქუთაისში რიონისპირა სახლების სრული რეაბილიტაცია იგეგმება. გვესაუბრეთ უფრო დეტალურად ამ პროექტზე.

-თქვენ იცით, რომ დაანონსებულია ქუთაისში მასშტაბური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რიონისპირა სახლების სრულ რეაბილიტაციას. „წითელი ხიდიდან“–„ჯაჭვის ხიდამდე“ არსებული ნაგებობები მე–19 საუკუნეში არის აშენებული და დღეს ის რეაბილიტაციას ნამდვილად საჭიროებს. პროექტი ისტორიული უბნისა და დავით კაკაბაძის სახვითი ხელოვნების გალერეის რეაბილიტაციას მოიცავს. აღნიშნული ტერიტორიის განვითარება ქუთაისისთვის არის უმნიშვნელოვანესი. პირველ რიგში, ის ადამიანები დაუბრუნდებიან საკუთარ სახლებს, რომლებიც ამჟამად ნაქირავებში მხოლოდ იმის გამო გადავიდნენ, რომ მათი საუკუნოვანი სახლები ინგრეოდა და საცხოვრებლად ყოველდღიურად უფრო საშიში ხდებოდა. ამ ზოლის განვითარება სარგებელს მოუტანს ქალაქსაც. პროექტის დასრულების შემდეგ აღნიშნული ადგილი, როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივებისთვისაც მიმზიდველი და საინტერესო იქნება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პროექტის ფარგლებში იგეგმება დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. თუ დღემდე გალერეაში ექსპონატები რიგი მიზეზების გამო არ იყო გამოფენილი და სათანადოდ დაცული, ეს პრობლემა მალე აღარ იარსებებს.

-დაანონსდა, რომ ქუთაისთან ახლოს ევროსტანდარტების შესაბამისი პირველი რეგიონული ნაგავსაყრელი აშენდება. სავარაუდოდ, როდის დაიწყება მშენებლობა?

-საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასა და ფრანგულ-სლოვენიურ კონსორციუმ „სადე-რიკოს“ (Sade Riko) შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროსტანდარტების შესაბამისი პირველი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის დაწყების შესახებ.

ამ სფეროში ევროპული მიდგომა, პირველ რიგში, გულისხმობს ისეთი ნაგავსაყრელის მოწყობას, რომელიც იქნება ძალიან მაღალი გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის სტანდარტების. ის დისკომფორტი, რასაც მოსახლეობა განიცდის ნაგავსაყრელების სიახლოვეს, არ იარსებებს. ეს არის ინფრასტრუქტურული მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი. რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა ქუთაისთან ახლოს მიმდინარე წელს დაიწყება და, დაახლოებით, ერთ წელიწადში დასრულდება. მშენებლო-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

„ჩვენი ბრიოჩიტელია, ეოსანლეთება აქტიურად ჩაეჩთოს საკუთარი მუნიციპალიტეტის განვითარებაში“

დასაწყისი ▶ 1 გვ.

ბაზე, სპეციალისტებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობაც დასაქმდება. ობიექტი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის 700 000-მდე მოქალაქეს მოემსახურება. პროექტი ასევე ითვალისწინებს ქუთაისში არსებული ე. წ. ნიკეას ნაგავსაყრელის დახურვას, მუნიციპალიტეტებისთვის ნარჩენების მოგროვების, ქუჩების დასუფთავების სისტემის გაუმჯობესებასა და ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობას.

პროექტი ხორციელდება ქართულ-გერმანული მხარეების ფინანსური თანამშრომლობით. ადგილობრივ კონტრიბუციასთან ერთად, პროექტის დონორები არიან: გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) და ევროკავშირის სამეზობლო ინვესტირების ფონდის EU-NIFF გრანტი. პროექტის საერთო ინვესტიცია 26 მილიონი ევროა.

-სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად საკმაოდ სოლიდური თანხების დახარჯვა იგეგმება. რა ვითარებაა ამ კუთხით იმერეთში?

-მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ერთ–ერთი პრიორიტეტი არის განათლება, ამ სფეროში რეფორმების დანერგვა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. იმერეთში სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ეგიდით 17 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია ხორციელდება, მათგან ორი სკოლა ზესტაფონში და ორი სკოლა ქუთაისში უკვე გავხსენით. რეგიონის მასშტაბით სამუშაოებისთვის 10 მილიონ დოლარზე მეტია გამოყოფილი და საერთო ჯამში 50, 500 კვადრატული მეტრი ფართობის რეაბილიტაცია განხორციელდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი სასწავლო პირობები 10 000 მოსწავლისთვის გაუმჯობესდება. პროექტის ფარგლებში წესრიგდება ფასადები, თავიდან ილესება კედლები, იგება ახალი იატაკი, იცვლება კარ-ფანჯრები, მონტაჟდება გათბობის ახალი სისტემა, ეწყობა ლაბორატორიები, სააქტო და სპორტდარბაზები, ასევე იცვლება სანტექნიკა.

გარდა მილენიუმის პროგრამისა, 2019 წელს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, იმერეთში 6 სკოლის მშენებლობა დაიწყება. სკოლები იმ სოფლებში და მუნიციპალიტეტებში შენდება, სადაც ამ მიმართულებით ყველაზე მძიმე მდგომარეობა გვაქვს. მაგალითად ზესტაფონის სოფელ არგვეთაში 120 მოსწავლე კერძო სახლში სწავლობს, იმის გამო, რომ სკოლის ძველი შენობა ექსპერტიზის დასკვნით არის საფრთხის შემცველი. მუნიციპალური განვითარების ფონდმა 6–ვე სკოლის პროექტირება–მშენებლობაზე ტენდერი უკვე გამოაცხადა. წელს ასევე იგეგმება რამდენიმე სკოლის რეაბილიტაციაც. ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი და მჯერა, რომ სკოლების რეაბილიტაციისა და მშენებლობის საკითხი შეუქცევადი იქნება.

აქვე დავამატებ, რომ 2019 წელს, როგორც საჯარო სკოლების, ასევე სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი, რათა თითოეულ ბავშვს შევუქმნათ პირობა კომფორტულ გარემოში აღზრდის.

-რეგიონში, ინვენსტიციის მოზიდვის კუთხით, რა მასშტაბური პროექტების განხორციელება იგეგმება?

-ინვესტიციის კუთხით, რაც უკვე დადასტურებით ვიცით, 2019 წელს სამშენებლო კომპანია „m² უძრავი ქონება“ ქუთაისში ახალი საერთაშორისო ბრენდის სასტუმროს ააშენებს. ახალი სასტუმრო, რომელიც ქალაქის ცენტრში, თეთრი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა აშენდეს, მოიცავს 125 ნომერს განსაკუთრებული ინტერიერითა და ხედებით. პროექტის სრული საინვესტიციო ღირებულება 30 მილიონი ლარია. სასტუმროს მშენებლობისა და შემდგომ მისი ოპერირებისთვის 250 - მდე ადგილობრივი დასაქმდება. პროექტი 2020 წლის მე-4 კვარტალში უნდა დასრულდეს.

ასევე, 2019 წელს, ტყიბულში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქურთუკების ქარხნის მშენებლობა იგეგმება, რომლის საინვესტიციო ღირებულება, პირველ ეტაპზე 5 მილიონი აშშ დოლარია. პროექტს „საპარტნიორო ფონდი“ ჩინელ ინვესტორებთან ერთად განახორციელებს. დამზადებული პროდუქცია ადგილობრივთან ერთად, საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტისთვის იქნება გათვლილი და, გადამზადების შემდეგ, საწარმოში 300-ზე მეტი ადგილობრივი დასაქმდება.

რაც შეეხება წყალტუბოს, მას აქვს დიდი ტურისტული პოტენციალი და ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს, რათა კომპლექსურად მოხდეს აღნიშნული კურორტის განვითარება. ინვესტორები დაინტერესებული არიან კურორტით და მოლაპარაკებები სხვადასხვა დონეზე აქტიურად მიმდინარეობს.

- დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით რა ნაბიჯები გადაიდგა?

- თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ დეკემბრის ბოლოს ქუთაისში, აღმაშენებლის ქუჩაზე, 52 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა. პირველ ეტაპზე ის ოჯახები დაკმაყოფილდნენ, რომლებიც, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ნგრევად შენობებში ცხოვრობდნენ. პროცესი გრძელდება და განსახლების მიზნით, ქუთაისში კიდევ 245 ბინაა შესყიდული. ჯამში, 2019 წელს, გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, 725 ბინა განაწილდება.

წყალტუბოში უკვე დასრულდა ტენდერი და 420 დევნილი ოჯახისთვის 6 კორპუსის მშენებლობა დაიწყება. ამ ეტაპზე კი 140-ბინიანი 2 კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს და ამ კორპუსებში 2019 წელს მოხდება დევნილების ბინებით უზრუნველყოფა. მშენებლობის დასრულების შემდგომ კი წყალტუბოში ყველა ნგრევადი ობიექტი დაიხურება.

2013 წლიდან დღემდე იმერეთის რეგიონში ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართი, ჯამში, 1300-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა.

-გვესაუბრეთ სოციალურ პროგრამებზე, რომლებიც იმერეთის მასშტაბით ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება?

- იმერეთის 12–ვე მუნიციპალიტეტი სხვადასხვა სოციალურ პროგრამას ახორციელებს. მათ შეჭირვებული ოჯახებისთვის აქვთ უფასო სასადილო, მრავალშვილიანი ოჯახებისა და შშმ პირებისთვის დახმარების პროგრამა, უფასო მგზავრობა, კომუნალური გადასახადების გადახდა თანადაფინანსებით, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და კიდევ არაერთი პროგრამაა, რომელიც სოციალურად დაუცველებზეა გათვლილი. ამ მიმართულებით წელს იმერეთის 12–ვე მუნიციპალიტეტში 15 487 389 ლარია გამოყოფილი.

-რა მდგომარეობაშია რეგიონული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრები და საჭიროებს თუ არა რომელიმე მათგანი რეაბილიტაციას?

-იმერეთში, თერჯოლის გარდა, სასწრაფო დახმარების ცენტრები ბოლო 3 წლის განმავლობაში ყველგან აშენდა ან რეაბილიტაცია ჩაუტარდა. მას შემდეგ სამედიცინო პერსონალს გაცილებით კომფორტულ გარემოში უწევს მუშაობა, ვიდრე ეს იყო გასულ წლებში. მიმდინარე წელს, თერჯოლაში დაგეგმილია სასწრაფო დახმარების ცენტრის მშენებლობა. პროექტის განხორციელების შედეგად, სამედიცინო პერსონალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში იმუშავებს.

- ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, აქტიურად მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა. მიმდინარე წელს არის თუ არა დაგეგმილი იმერეთში მსგავსი ცენტრების გახსნა?

- ბოლო პერიოდში, იუსტიციის სამინისტროს ეგიდით, საზოგადოებრივი ცენტრების აშენება საქართველოს მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს. მათ შორის, ასეთი ცენტრები გასულ წელს იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა თუ სოფელში გაიხსნა. 2018 წლის დასასრულს კი – საჩხერესა და სოფელ საზანოში. რამდენიმე დღის წინ კი – ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ საწირეში. წელს 4 საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობაა დაგეგმილი. ზოგადად, აღნიშნული დაწესებულებები მოსახლეობას აძლევს საშუალებას, ისარგებლოს 200–ზე მეტი საჯარო და კერძო სერვისით, უფასო ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერებითა და ვიდეოკონფერენციის აპარატურით. ასევე ადგილობრივები ისარგებლებენ, როგორც მატერიალური სახით არსებული წიგნებით, ისე ელექტრონული ბიბლიოთეკითაც. რაც შეეხება საზოგადოებრივი ცენტრის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ საკონფერენციო დარბაზს, აღნიშნული ინფრასტრუქტურით სარგებლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც შეეძლებათ.

-სპორტის განვითარების კუთხით რა სიახლეებია დაგეგმილი რეგიონში?

-საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ქუთაისის აუზის პროექტირებაზე ტენდერი გამოაცხადა.

პროექტით გათვალისწინებულია ქუთაისში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საცურაო აუზის მშენებლობა. აუზის სიგრძე 50 მეტრი, ხოლო სიგანე 25 მეტრი იქნება. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს გასახდელებისა და საშხაპეების მოწყობას აუზის მომხმარებლების, მსაჯებისა და მწვრთნელებისთვის.

ასევე უნდა მოეწყოს სპორტსმენთა ფიზიკური მდგომარეობის აღდგენისა და ტრავმების სარეაბილიტაციო დანიშნულების სივრცეები.

გარდა ამ მასშტაბური პროექტისა, მუნიციპალიტეტებში იგეგმება მინი მოედნების მოწყობა და რეაბილიტაცია.

-იმერეთს ტურიზმის განვითარების საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია. რა ღონისძიებები ტარდება იმისათვის, რომ რეგიონში მეტი ტურისტი შემოვიდეს?

-თქვენთვის ცნობილია, რომ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს პირველი აგვისტოდან 6 ახალი, ევროპული მიმართულება დაემატება. ამ შეთანხმების შედეგად საქართველოს ეკონომიკაში დამატებით 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. შეიქმნება რამდენიმე ათეული სამუშაო ადგილი.

ქუთაისის აეროპორტში ფრენის განრიგს დაემატა ახალი ქალაქები: ბრიუსელი, კოპენჰაგენი, ბაზელი, ეინდჰოვენი, ტალინი, ბარი.

2018 წელს ვიზეარმა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრთნაკადის 95 % გადაიყვანა (587,643 მგზავრი) და საქართველოს ავიაციის ისტორიაში პირველად, ვიზეარი ბაზრის ლიდერი გახდა. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას. თქვენ იცით, რომ მიმდინარეობს მუშაობა და ქუთაისის ტურიზმის ცენტრში მისული ტურისტი ინფორმაციას არა მარტო ამ ქალაქის, არამედ იმერეთის ღირშესანიშნაობების შესახებაც მიიღებს. იმერეთის მართვის ტურიზმის ორგანიზაცია ყველა მათგანს დეტალურ ინფორმაციას მიაწოდებს, სად რა კულტურული ძეგლებისა და ტურისტული ობიექტების ნახვა არის შესაძლებელი. 2019 წელს რამდენიმე ობიექტი გაიხსნება, ვანში დასრულდება არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობა, გაიხსნება საწურბლიას მღვიმე წყალტუბოში, თერჯოლაში ახლახან გაიხსნა ნავენახევის მღვიმე. ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი შევა საინფორმაციო ბროშურაში, შეიქმნება ტურისტული მარშრუტები და ტურისტებს საშუალება ექნებათ, თავად აარჩიონ, რა დაათვალიერონ.

ეკა შავიძე

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საერთო კრებების ჩატარება გრძელდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში პრიორიტეტების შერჩევა ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს. მოსახლეობა თავად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა პროექტის განხორციელება სურს. შეხვედრებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, მერის მოადგილეები: არჩილ მაღრაძე და თეიმურაზ ჩხეიძე სისტემატურად ესწრებიან.

ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების- ლაშის, ღვერკისა და უჩამეთის მოსახლეობამ გამოყოფილი 12 000 ლარით წყლის სისტემის მოწესრიგება და საუბნო გზების მოხრეშვა გადაწყვიტა.

კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში - თეთრაწყაროს, საქარიქედისა და კიცხის იგორეთის - მოსახლეობამ პრიორიტეტად წყლის სათავე ნაგებობების მოწყობა დაასახელა. თეთრაწყაროში ვეფხვაძეების, გველესიანების, გიორგიძეების, ბერაძეების უბნებში წყლის სისტემის გასაკეთებლად 12 000 ლარი დაიხარჯება. კიცხის იგორეთში ამავე პრობლემის მოსაგვარებლად 10 000 ლარია გამოყოფილი, ამდენივე თანხა მიიმართა სოფელ საქარიქედში სასმელი წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად.

ხიდრისთვის გამოყოფილი 16 000 ლარი სოფელში არსებული სარიტუალო სახლის მოწყობას მოხმარდება.

სარგვეშის მოსახლეობამ საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრით გადაწყვიტა, რომ მათი სოფლისთვის განკუთვნილი თანხა ბიბლიოთეკის შენობის დასრულებისთვის გამოიყენონ, აუცილებელია ასევე, მოეწყოს სველი წერტილი და განათდეს მიმდებარე ტერიტორია.

საბის მოსახლეობამ პრიორიტეტად მაღალაუბნის საუბნო გზის შეკეთება დაასახელა. გარდა ამისა, გადაწყდა, რომ 2 კმ-მდე გზის მონაკვეთი გასწორდება და მოიხრეშება. შიდა საუბნო გზები მოიხრეშება ასევე სოფელ ხორითშიც, რომლისთვისაც 10 000 ლარი დაიხარჯება. სოფელ მირონწმინდაში რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყლის წისქვილს და შეკეთდება საუბნო გზა.

საერთო კრებები ჩატარდა ლელვნის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც გაერთიანებულია ოთხი სოფელი. მარელისის მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ მათი სოფლისთვის გამოყოფილი 12 000 ლარით საბანკეტო დარბაზი მოაწყოს და ინვენტარი შეიძინოს. ლელვნისათვის გამოყოფილი 16 000 ლარი კი საუბნო გზების შესაკეთებლად დაიხარჯება. 10 000 ლარი მიიმართა ასევე დიდვაკეში გზების შესაკეთებლად და გარე განათების მოსაწყობად. რაც შეეხება პატარა სახვლარს, აქ მცხოვრებმა ორმა ოჯახმა სასაფლაოს გზის შეკეთება აირჩია.

ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გრიგალაათში ახალგაზრდების აქტიურობით გადაწყდა, რომ მოეწყოს სპორტული მოედანი და ასევე მოიხრეშოს საუბნო გზები. ციცქიურის მოსახლეობისთვის კი პრიორიტეტი მდინარე ძირულაზე გადასასვლელი ხიდის შეკეთება და საუბნო გზების მოხრეშვაა. სპორტული მოედანი მოეწყობა სოფელ წაქვაში და შეკეთდება გზებიც. რაც შეეხება ხევის ადმინისტრაციულ ერთეულს, ნისქვილი აშენდება და სოფლის სასაფლაო შემოიღობება.

ბორითში, პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა საბავშვო ბაღისთვის ატრაქციონებისა და კულტურის სახლისთვის ინვენტარის შეძენას მოხმარდება. ასევე გოჭოურის უბანში მოიხრეშება გზა და მაჩაიძეების უბანში არსებულ წყლის ავზს რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

წყლის სისტემის მოწესრიგება დაასახელა პრიორიტეტად სოფელ უბისის მოსახლეობამ. გამოყოფილი 12 000 ლარიდან სასმელი წყლის სათავე ნაგებობას გააკეთებენ და ასევე შეიძენენ სარიტუალო დარბაზისთვის კონდიციონერს.

სარიტუალო სახლის რეაბილიტაციისთვის და შიდა საუბნო გზების მოსახრეშად დახარჯავს 12 000 ლარს მაქათუბნის მოსახლეობა, სოფელ კვესრევის მცხოვრებლები კი 10 000 ლარით საუბნო გზებსა და წყლის სისტემას შეაკეთებენ.

სოფელ საქასრიის მოსახლეობამ 12 000 ლარით წყლის სათავე ნაგებობის შეკეთება და სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა გადაწყვიტა, ვაშლევის

მოსახლეობა 10 000 ლარით წყლის სისტემას შეაკეთებს და სოფლის სასაფლაოს შემოღობავს.

სასმელი წყლის პრობლემა აწუხებს ამაშუკეთს, ამიტომ გამოყოფილ 10 000 ლარს წყლის ჭაბურღილისა და საუბნო გზის შეკეთებას მოახმარენ. ერეთაში მოსახლეობამ წისქვილის შენობის აღდგენა, ხიდ-ბოგირის შეკეთება და ერეთა-დინარის დამაკავშირებელი გზის შეკეთება გადაწყვიტა. ციხისძირში კი 10 000 ლარი გზის რთული მონაკვეთის მობეტონებას მოხმარდება.

წყლის სისტემის მოწესრიგება გადაწყვიტა ვარძიისა და ფარცხნალის მოსახლეობამ. ასევე ფარცხნალში მოიხრეშება სასაფლაომდე მისასვლელი გზა, შარიქაძეების უბანში გარე განათება გაკეთდება, შეკეთდება სასაფლაოს ღობე, შეიძენენ წყლის რეზერვუარს და სოფლის წისქვილისათვის ძრავს. ისლარისათვის გამოყოფილი 10000 ლარი კი სასმელი წყლის რეზერვუარის შეკეთებას, სარიტუალო დარბაზის მშენებლობასა და პირველ უბანში გარე განათების მოწყობისათვის მიიმართება.

ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციას მეიფარიანების უბანში და საუბნო გზის მოხრეშვას სვანიძეების უბანში დაუჭირა მხარი სოფელ ღუდუმექეთის მოსახლეობამ, რისთვისაც 10000 ლარი დაიხარჯება.

ახალსოფლისთვის გამოყოფილი 10 000 ლარი სასმელი წყლის მოწესრიგებასა და შიდა საუბნო გზების მოხრეშვას მოხმარდება.

სოფლის საერთო კრებები ჩატარდა მაღალმთიანი სტატუსის სოფლებში.

გაგრძელება ▶ გვ 3.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საერთო კრებების ჩატარება გრძელდება

დასაწყისი ▶ გვ. 2

გოლათუბანი, გუდათუბანი, წიფა და ფონა წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლებია, რომლის მოსახლეობამაც პრიორიტეტად სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება, გარე განათების მოწყობა და საუბნო გზების მოხრეშვა აირჩია.

ვახანისა და სერბაისის მოსახლეობამ ფარული კენჭისყრით ექვსი საპროექტო წინადადებიდან ორი პრიორიტეტი გამოყო. მათთვის მნიშვნელოვანი ელაზნაურის უბანში გზის მოხრეშვა-გასწორება და გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობაა, რისთვისაც 12 000 ლარი დაიხარჯება. სოფელ სერბაისის მცხოვრებლები 10 000 ლარით სოფლის წისქვილს ჩაუტარებენ რეაბილიტაციას და შიდა საუბნო გზებს მოხრეშავენ. სოფელ ზედუბნისთვის გამოყოფილი 10 000 ლარი ზედა და ქვედა ზედუბნის მოსახლეობამ თანაბრად გაინაწილა. ზედა უბანში სასმელი წლის სისტემა მოწესრიგდება, ხოლო ქვედა უბანში სარიტუალო დარბაზი კეთილმოეწყობა.

წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა ბუდიანეთის უბანში საუბნო გზის მოხრეშვას, წყაროს სათავის მოწყობას გაბეხაძეების უბანში და სანიაღვრე არხის გაკეთებას კუდავა-კუპრაძეების უბანში.

ლახუნდარის მოსახლეობა სოფლისთვის გამოყოფილი 12 000 ლარით, ეკლესიისა და კავილაძეების უბანში სასმელი წყლის ჭაბურღილს გააკეთებს.

სასმელი წყლის ჭაბურღილის გაკეთებას უჭერს მხარს პატარა ვარძიის მოსახლეობაც.

ხონელებმა პრიორიტეტად შიდა საუბნო გზის მოხრეშვა დაასახელა, რისთვისაც 10 000 ლარი დაიხარჯება, ხოლო სოფელ ჩალხაეთში 10 000 ლარით ცენტრალური გზა შეკეთდება.

სოფელ გოლისსა და ნადაბურში სოფლისთვის გამოყოფილი თანხით სასაფლაო შემოიღობება.

ღორეშის მოსახლეობამ საპროექტო ნუსხაში შვიდი პროექტი წარმოადგინა. სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, საზოგადოებრივ ცენტრთან საპირფარეშოს მოწყობა, სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის გაკეთება, საუბნო გზის მოხრეშვა, სოფლის ელექტროწისქვილზე სახურავის გამოცვლა და სასაფლაოს შემოღობვა -ამ სოფლის მოსახლეობისთვის უმთავრესია. მათი სურვილია ასევე, თუ თანხა საკმარისი იქნება, საზოგადოებრივ ცენტრთან გარე განათება გაკეთდეს, სკოლის კალათბურთის მოედანსა და სოფლის მოსაცდელებს რეაბილიტაცია ჩაუტარდეს. ღორეშის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გამოყოფილი 16 000 ლარით არსებული პრობლემების სრულად თუ არა, ნაწილობრივ დაკმაყოფილება მაინც იქნება შესაძლებელი.

სარიტუალო სახლისთვის სახურავის შეძენა, სოფლის სასაფლაოს შემოღობვა და სასმელი წყლის სათავე ნაგებობის შეკეთება დაასახელა ზვარის მოსახლეობამ პრიორიტეტად, რისთვისაც პროგრამის ფარგლებში ამ სოფელს 12 000 ლარი გამოეყო. ამდენივე თანხა დაიხარჯება სოფელ ჩრდილში, სადაც მოსახლეობა შეთანხმდა, რომ აღნიშნულ თანხას საუბნო გზების მოსახრეშად, წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად და სოფელში არსებული ორი სარიტუალო სახლისთვის ინვენტარის შესაძენად გამოიყენებენ. რაც შეეხება ნუნისს, სოფლისთვის გამოყოფილი 10 000 ლარი სარიტუალო სახლის სახურავის შესაძენად დაიხარჯება.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულს საჯარო სკოლებს ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 410 000 ლარი გამოეყო

ხარაგაულის საჯარო სკოლებს ინფრასტრუქტურის მოსაწყობად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 410 000 ლარი გამოეყო. ამის შესახებ ინფორმაცია 11 თებერვალს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააკეთა. თუ რა მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში და როგორ გადანაწილდება აღნიშნული თანხა, ვრცლად ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე გვესაუბრება.

-დიდი ხანია, ვსწავლობთ სკოლებში არსებულ ინფრასტრუქტურულ მდგომარეობას და ამის შესახებ არაერთი წერილი გაიგზავნა სხვადასხვა უწყებაში. საბედნიეროდ, წელს სოფელ კიცხში საჯარო სკოლის ახალი კორპუსი აშენდება, ხოლო ვერტყვიჭალის, წყალაფორეთისა და მარელისის საჯარო სკოლები მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით იქნება რეაბილიტირებული. წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობაა დაბის N3 საჯარო სკოლაში, რომელიც გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს. ამასთან დაკავშირებით განათლების სამინისტრო საქმის კურსშია და აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტის მერია. გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ იმერეთის გუბერნატორმა, ბატონმა შავლეგო ტაბატაძემ პირადად დაათვალიერა სკოლაში არსებული მდგომარეობა. აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო ბაღდათიხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატ ბატონ კობა ლურსმანაშვილს, რომელიც გვერდით დაგვიდგა და შესაბამის უწყებებს არაერთხელ მიმართა აღნიშნულთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ერთიანი მცდელობა სასურველ შედეგს გამოიღებს. ანალოგიური მდგომარეობაა წყალაფორეთის საჯარო სკოლაშიც. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სპეციალისტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის გათვალისწინებით აქ შენობის ნახევარი (ორივე სართული) მთლიანად გამოუსადეგარია სწავლისათვის, რადგან შენობის ბზარები კვლევას საჭიროებს.

შესასწავლია წიფის სკოლის მდგომარეობა. სკოლის წინ არსებული დამცავი კედელი სასწრაფოდაა გასამაგრებელი, ასევე მარელისის სკოლის უკან მდებარე დამცავი კედელი.

პრობლემა მეტ- ნაკლებად ყველა სკოლას აქვს, მთავარია დროულად მოხდეს რეაგირება.

სკოლის პედაგოგთა ნაწილი გაანაწყენა სკოლების ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად განაწილებულმა თანხებმა, მაგრამ შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად ყველა სკოლის ინტერესი გაგვეთვალისწინებინა.

ზოგს გაუჩნდა კითხვა, რატომ გამოვუყავით თეთრაწყაროს სკოლას თანხა, სადაც 2 მოსწავლეა. მინდა კიდევ ერთხელ გავაკეთო განმარტება, კიცხის სკოლის მშენებლობა როდესაც დაიწყება, სასწავლო პროცესი თეთრაწყაროს სკოლის კორპუსში განახლდება და მოსწავლეებისათვის აუცილებელია სუფთა, ნორმალური გარემოს შექმნა. პირველ ცვლაში მხოლოდ ამ სკოლაშია შესაძლებელი სწავლა, სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში მოუწევთ მეორე ცვლა, რაც სოფლის პირობებში ურთულესი იქნება, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.

- რომელი სკოლის რეაბილიტაციაა დაგეგმილი მიმდინარე წელს და კონკრეტულად სად რა თანხები მიიმართა?

-თანხები ყველა სკოლაზე გადანაწილდა, რომლეთა შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ მუნიციპალიტეტის მერიას. თავის მხრივ, მერია გუბერნიასთან და სამინისტროსთან შეათანხმებს ყოველივეს და თუ როგორ გადაწყდება საბოლოოდ სკოლების კეთილმოწყობის საკითხი, ახლო პერიოდში გახდება ცნობილი. ეს საკითხი კიდევ მსჯელობის პროცესშია და შეიძლება ცვლილებები განხორციელდეს. რესურსცენტრის მიერ კი თანხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1.დაბის N3 საჯარო სკოლა: სახურავი, კარფანჯარა, იატაკი, შიდა კიბე (სრული რეაბილიტაცია) - სავარაუდო ღირებულება 103 000 ლარი;

2. ბორის საჯარო სკოლა: მესამე სართულის იატაკი და კოსმეტიკური რემონტი -სავარაუდო ღირებულება - 32 000;

3. ლეღვნის საჯარო სკოლა: ახალი სველი წერტილის აშენება- სავარაუდო ღირებულება - 31 000 ლარი;

4. ნადაბურის საჯარო სკოლა: სველი წერტილის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 25000 ლარი;

5. ხიდრის საჯარო სკოლა: ახალი სველი წერტილის აშენება - სავარაუდო ღირებულება 26000 ლარი;

6. დაბის N2 საჯარო სკოლასთან ოპტიმიზირებული თეთრაწყაროს დაწყებითი კორპუსი: იატაკი, სველი წერტილები, მცირე კოსმეტიკური რემონტი - სავარაუდო ღირებულობა 42 000 ლარი;

7. წიფის საჯარო სკოლა: სკოლის ეზოს დამცავი კედელი - სავარაუდო ღირებულება 20000 ლარი;

8. ბორითის საჯარო სკოლა: მოსწავლისათვის ადაპტირებული გარემო, სასკოლო ბუფეტი - სავარაუდო ღირებულება - 7000 ლარი;

9. ღორეშის საჯარო სკოლა: იატაკი, სამი კარები, სველი წერტილის კარები - სავარაუდო ღირებულება 30000 ლარი;

10. ვარძიის საჯარო სკოლა: საწვიმარი ღარები და სკოლის გარე კედლების შელესვა - სავარაუდო ღირებულება 9000 ლარი;

11. მოლითის საჯარო სკოლა: სახურავის შეცვლა - სავარაუდო ღირებულება 19 000 ლარი;

12. ბაზალეთის საჯარო სკოლა: ღობე, სველი წერტილების მოწესრიგება - სავარაუდო ღირებულება 15000 ლარი;

13. საღანძილის საჯარო სკოლა: სახურავის გადაღებვა, კედლების შელესვა, იატაკის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 20000 ლარი;

14. ხევის საჯარო სკოლა: კოსმეტიკური რემონტი - სავარაუდო ღირებულება 3000 ლარი;

15. ვახანის საჯარო სკოლა: ახალი სველი წერტილი - სავარაუდო ღირებულება 25000 ლარი;

16. სოფელ მარელისის საჯარო სკოლის ოპტიმიზირებული კორპუსი: ახალი ღობე. სავარაუდო ღირებულება 3000 ლარი;

- როგორ ფიქრობთ, ზემოხსენებული სკოლებისათვის გადანაწილებული თანხები მათი პრობლემების აღმოსაფხვრელად საკმარისია?

- ეს ის აუცილებელი საჭიროებებია, რომელთა გარეშე სკოლებს ძალიან გაუჭირდებათ. თანხა საკმარისი, რა თქმა უნდა, არაა. N3 საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაციისათვის გაცილებით დიდი თანხა ესაჭიროება. ასევე მოლითის სკოლას 20 000 ლარი მაინც უნდა დაემატოს სახურავის შესაკეთებლად. კარგი იქნება, თუ 2020 წელში მოხდება ხუნევის საჯარო სკოლის სახურავის მთლიანი შეცვლა. დაბის N2 საჯარო სკოლაში ასაშენებელია დახურული ტიპის სპორტული დარბაზი, აქ ასევე სახურავის გადაღებვაა და მცირე კოსმეტიკური რემონტია საჭირო.

ძალიან მინდა, ყველა სკოლამ დაინახოს ჩვენი თანადგომა, არა მარტო ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, არამედ ყოველმხრივ. ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ და ერთმანეთს, საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე პროცესებს, გაგებით და ურთიერშეთანხმებით უნდა მივუდგეთ. ყველა სკოლის ბედი და პრობლემები გვაქვს გათავისებული და თუ დღეს ყველა საკითხის ერთიანად გადაჭრა არ ხდება, ეტაპობრივად ყველაფერი მოგვარდება. მთავარია, სოფელს, მიტოვებულ სახლებს, მოსახლეობა დაუბრუნდეს და გვიყვარდეს საქმე, რომელსაც ვაკეთებთ.

თამარ მაღრაძე

ჭოჭა ანგელი სიყვარულია...

27 იანვარს კაფე „ეიფელში“ ერთ-ერთ სასიამოვნო შეკრებაზე, რომელიც ხარაგაულის პედაგოგიური საზოგადოების გამორჩეული წევრის, ქალბატონ ვენერა ყიფიანი - კიკნაძის, დაბადების 80 წლის საიუბილეო თარიღს უკავშირდებოდა, ცნობილი ლექსის სტრიქონები შემოიჭრა ჩემს სულში, არა და არ დამტოვა, ჯიუტად ამეკვიატა, თითქოს ჩამძახოდა კიდეც: - გონებაში ნუღარაფერს მოიძევ, ჩემზე უკეთესად ვერაფერს მიუსადაგებ ვენერა მასწავლებლის ღვაწლს, მის დიდ სიყვარულს უამრავი თაობისადმი... ჰოდა, მეც დავემორჩილე მის უდიდებულესობას - პოეზიას! და ქათქათა ქაღალდზე გადავიტანე დიდებული ლექსის ერთი პატარა ამონარიდი (ფინალი!):

„რადგან, ოსტატო,
მრუდე ხისგან ძელი გამთალე,
თვალთ თუ დაგაკლდეს -
მე ვიქნები შენი სათვალე,
მუხლთ თუ დაგაკლდეს -
შენს ყავარჯნებს მეც მიმათვალე!“

დიახ, ეს სტრიქონები უკლებლივ შეიძლება, გაიმეოროს ვენერა მასწავლებლის ყველა აღზრდილმა, რადგან მათ ვენერა მასწავლებლისაგან გამოსხივებული უდიდესი მადლი - ღვთიური სიყვარული - აერთიანებთ. ეს მადლი თანაბრად სწვდებოდა ყველა შეგირდს, განურჩევლად, უანგაროდ, ღვთიური მონოდებით. არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომელ სოციალურ კასტას ეკუთვნოდა აღსაზრდელი, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა,“ გრდემლთან მდგარ მუშას, თუ მიწასთან შეჭიდებულ გლეხკაცს...

და გაილია ცხოვრების აქტიური წლები უსაყვარლეს საქმეში. 50-წლიანი ასპარეზიდან რომ გაჰყურებს დღეს ამაგდარი პედაგოგი და ცამდე აბრიალებულ კოცონს ხედავს, ეს ხომ იმ სიყვარულის კოცონია სპეტაკი გრძნობითა და ამაღლებული საქმიანობით რომ დაანთეს ღირსეული ოსტატის შეგირდებმა...

საკუთარ ულუფას რომ გაუნაწილებს საყვარელ მასწავლებელს და უკვე მესამე წელია, ყოველთვიურად 100-ლარიან „სტიპენდიას“ უგზავნის აღზრდილი, ეს ცოტას ნიშნავს? (მავანმა იქნებ იფიქროს კიდეც, ამის თაოსანს, ალბათ, დიდი შემოსავალი აქვსო), სრულიადაც არა! ტარიელ აბრამიშვილს დიდი შემოსავალი კი არა - სიყვარულითა და უსაზღვრო მადლიერებით აღსავსე დიდი გული აქვს, სიკეთის გაცემის საოცარი უნარი აქვს, რომელსაც უშურველად უბრუნებს საყვარელ აღმზრდელს.

სიკეთის სურვილი კი უკიდეგანოა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, როცა ყოფილ შეგირდს არც ოსტატის საიუბილეო თარიღი ავიწყდება და სიურპრიზს უწყობს. სწორედ ამ მადლით აღმოვჩნდით ვენერა მასწავლებლის საიუბილეო უმშვენიერეს სუფრასთან მისი ყოფილი მოსწავლეებიცა და ახლო მეგობრებიც. საღამოს რეჟისორი ტარიელ აბრამიშვილი კიდევ ერთხელ შეეცადა, რომ მოულოდნელად გაეხარებინა თავისი „მეორე დედა“ (როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ), თავისი ვენერა მასწავლებელი!

სასიამოვნო ატმოსფეროს დიდი მადლი მოჰფინა მამა ანტონის (სულთანიშვილი) სტუმრობამ, რომელმაც დაგვლოცა ყველა, ხაზი გაუსვა იუბილარის წმინდა ეკლესიასთან ურთიერთობას და იგი ღვთისმშობლის ხატით დაასაჩუქრა.

საღამოს „რეჟისორმა“ ტარიელ აბრამიშვილმა კი უმშვენიერეს ჩარჩოში ჩასმული სერტიფიკატი გადასცა, რომელზეც ვკითხულობთ:

სერტიფიკატი
რესპუბლიკის საუკეთესო პედაგოგი
გადაეცემა ნახევარსაუკუნოვანი ნაყოფიერი
პედაგოგიური
მოღვაწეობისათვის ვენერა კიკნაძეს
მადლიერი აღზრდილებისაგან.

დაგვერწმუნებით, რომ ეს სერტიფიკატი, რომელსაც უამრავი აღზრდილის ხელმოწერა ადასტურებს, მაღალი ინსტანციების მიერ გაცემულ სერტიფიკატებზე უფრო ძლიერია!

სწორედ იმავე წუთებში ინტერნეტსივრცეში ა/კ რკინიგზის ხარაგაულის N10 საშუალო სკოლის (დღევანდელი N3 საჯარო სკოლა) 1982 წელს კურსდამთავრებულთა სახელით დაიდო ვენერა მასწავლებლის ერთ-ერთი საამაყო მოსწავლის, ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მაია ტორაძის წერილი - მოლოცვა. წერილი საკმაოდ ვრცელი და ტევადია. რასაკვირველია, ვერ შევძლებთ მკითხველთათვის მის სრულად გაცნობას, თუმც პატარა ამონარიდით მაინც შეექმნება თითოეულს შთაბეჭდილება, თუ რატომ ეძახდნენ შეგირდები ვენერა ოსტატს „მეორე დედას.“

„ჩვენ პირველი მოსამზადებელი კლასი ვიყავით. რა ბედნიერი აღმოვჩნდი, როცა საკლასო ოთახის კარი შევაღე და დამხვდნენ ჩემი ბაღის მეგობრები: ზურიკო არევაძე, ირაკლი ებანოიძე, მაია ფხალაძე, პაატა ხიჯაკაძე, ვახტანგ ლაბაძე, ლინა ბაბლიძე, ხათუნა შარიქაძე, ტარიელ აბრამიშვილი, ზაზა იმედაიშვილი, ჯიმშერ ქველაძე, მერაბ გიორგაძე, ლია რამინიშვილი, სერგო კიკნაძე, ლია უჩიძე...

მაშინ სკოლაში შვიდი წლისანი შედიოდნენ. ჩვენ კი ექვსი წლისანი შევედით... პატარები, უსუსურები, ძალზე ბავშვურები და გულუბრყვილოები. ამიტომაც ვენერა მასწავლებელი კრუხივით დაგვქოთქოთებდა თავზე - გვშიოდა და გვაჭმევდა, გვციოდა და კედელში ჩატანებულ ძველებურ ღუმელთან (ასეთი ღუმელები ჩემს თაობას ემახსოვრება) გვათბობდა, გვეძინებოდა და იქვე ჰქონდა თავისი შავი „შუბა,“ რომელიც ხან ერთ ჩემს ჩაძინებულ კლასელს ეფარა და ხან - მეორეს...

ადამიანს ცხოვრებაში ბევრი რამ ავიწყდება. აღარ ახსოვს სახელები და გვარები, მოვლენები, შემთხვევები, ლექტორები, ზოგჯერ კლასელები და კურსელებიც კი, მაგრამ არასოდეს შევხვედრივარ პიროვნებას, რომელსაც თავისი პირველი მასწავლებელი არ ახსოვდეს. ეს ის ადამიანია, რომელზეც შემდგომ დიდწილადაა დამოკიდებული, როგორ წარმართება შენი ცხოვრება, რა ღირებულებები გაიღვიძებს შენში, საით გადაიხრება შენი ცხოვრების ისარი... ფსიქოლოგები ამბობენ მშობლები მხოლოდ ექვს წლამდე არიან ბავშვებისთვის მისაბაძნი, ექვსიდან ათ წლამდეკი სწორედ მასწავლებელია მისი კუმირიო. ვენერა მასწავლებელი ჩვენთვისაც კუმირი იყო - აი ისეთი, საჭმელს თუ ჭამდა, ვერც რომ წარმოგვედგინა. როცა პედაგოგზე საუბრობენ - ჩემს წარმოსახვაში ის ზუსტად ისეთია, როგორიც ვენერა მასწავლებელი - სადა, მუდამ კოხტა, ცოტა მკაცრი და ძალიან თბილი...

* * *

27 იანვარს „ეიფელში“ საზეიმოდ აღინიშნა ვენერა მასწავლებლის ცხოვრების 80 - წლიანი „ოდისეა,“ მაგრამ პედაგოგიურ ასპარეზზე ყოფნის 50 - წლიანი „ოდისეა“ ჯერ ისევ გრძელდება. თუმც, როგორც ცნობილია, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს ვენერა მასწავლებელი პედაგოგიურ ასპარეზს ახალგაზრდებს დაუთმობს. გვაქვს რწმენა, რომ მისი სიყვარულით ანთებული კოცონი უფრო გაძლიერდება და ცას მისწვდება... განვლილი გზა კი შთამაგონებელი იქნება ყველასათვის, ვინც თავის სულში აზეიმებს იმ დიდ გრძნობას, რომელსაც ბავშვისა და პედაგოგიური პროფესიის უსაზღვრო სიყვარული ჰქვია!

მერი გიორგიძე

რას გეგმავს ეკოტურიზმის ასოციაცია ხარაგაულში?

„საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ილია ოქრომელიძემ ხარაგაულელ ახალგაზრდებთან, შოთა ხარატიშვილთან და შაკო ჩხეიძესთან ერთად, ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეხვედრა გამართა. შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, ა(ა)იპ „სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის “ წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ეკოტურიზმის ასოციაციის წარმომადგენლები სამი დღის განმავლობაში საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის დაკვეთით მარელისის, ლეღვნისა და ფარცხნალის მოსახლეობას ხვდებოდნენ და დეტალურად შეისწავლეს თუ რა პოტენციალი აქვს

ადგილობრივ მოსახლეობას ტურიზმის განვითარების კუთხით, რა შეუძლიათ შესთავაზონ მათ ხარაგაულში ჩამოსულ ტურისტს, რა პრობლემები აწუხებთ და რა მიმართულებით ისურვებდნენ განვითარებას. „ადგილობრივებს აქვთ სურვილი, განავითარონ ტურისტული სერვისები და შემოსავალი მიიღონ, თუმცა არის პრობლემები, რომელთა მოგვარებაც უჭირთ. ეს პრობლემებია: საგზაო ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, ეროვნული პარკის რეგულაციები, მტაცებელი ცხოველები, კერძო საკუთრების დარეგისტრირება,“ -აღნიშნა ილია ოქრომელიძემ.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას, ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციის დახმარებით, შეესაძლებლობა მიეცემა, განავითაროს უკვე არსებული ტურისტული სერვისის მიწოდება (საოჯახო სასტუმრო, ცხენით სარგებლობა, გაყიდოს ნაწარმი და ა.შ.) ან შექმნან ახალი. ორგანიზაცია მათ ასევე დაეხმარება ტურისტული სერვისის მიმწოდებლად დარეგისტრირებაში. პროექტის შემდეგი საფეხური დაინტერესებული პირებისათვის ტრენინგების ჩატარება იქნება.

პროექტის დასასრულს დამზადდება ტურისტული რუკა, ბროშურები, რომლებიც უკვე არსებულ ტურისტულ ცენტრებში გავრცელდება.

დასასრულს, მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ მადლობა გადაუხადა „საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის“ წარმომადგენელს ხარაგაულში მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისთვის და გვერდში დგომა აღუთქვა. თოფურიძის განმარტებით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მაქსიმუმს გააკეთებს ადგილობრივი თვითმმართველობა.

ეკა შავიძე

ჩვენც, ჩვენც უზომოდ გვიყვარხართ!

ძნელია, სიტყვებით დაასურათო ის ემოცია, რაც 14 თებერვალს, „ვალენტინობას,“ მარტო იმერეთის კი არა, სრულიად საქართველოს საამაყო ქალბატონმა, უნიჭიერესმა იზა ვეფხვაძემ განგვაცდევინა სპექტაკლით „მე თქვენ მიყვარხართ!..“

ჩვენ მისი სპექტაკლების აქტიური მაყურებლები ვართ და აღარ გვიკვირს ზეპირმეტყველების ის საოცარი უნარი, რომლითაც ქალბატონი იზა ზენაარმა დააჯილდოვა:

როგორც ცნობილი კინომცოდნე პროფესორი გოგი დოლიძე აღნიშნავს: „იზა ვეფხვაძეზე საუბრისას მხოლოდ მის არაჩვეულებრივ მეხსიერებაზე ყურადღების გამახვილება საკითხის გაუბრალოებაა...

ქალბატონ იზას ფენომენი სხვას გულისხმობს, უფრო მაღალ მწვერვალებს, საიდანაც შესაძლებელია ადამიანის სულის მოძრაობის უხილავი სიმების ჭვრეტა და განსჯა პოეზიის რაობაზე.“

ბუნებრივია, რომ მის ყოველ სპექტაკლზე მაყურებელი „გამოუცნობ ცეცხლის ალში ეხვევა“ და სპექტაკლის დასრულების შემდეგ კიდევ დიდხანს ეკითხება საკუთარ თავს - ეს ზღაპარი იყო ყოველივე, რაც ვნახე, თუ სინამდვილე, სინამდვილე, რომელიც ამ ქალბატონიდან მოდიოდა... რა გასაკვირია, როცა რუსთაველის თეატრის უდიდესმა მსახიობმა გოგი გეგეჭკორმა, როცა თბილისში იზა ვეფხვაძე პირველად იხილა აკაკი ხორავას მსახიობის სახლში რეზო თაბუკაშვილისადმი მიძღვნილი სპექტაკლის მსვლელობისას განცვიფრებულმა ხმამაღლა იკითხა: „ეს რა ხდება? რა არის ეს? დაუჯერებელია!..“

14 თებერვალს სიყვარულის ამამაღლებელი ძალით გაბრწყინებული სტრიქონები იფრქვეოდა ხარაგაულის კინოთეატრის სცენიდან. ბევრი მათგანი ნაცნობი იყო ჩვენთვის და გულში ჩუმად მსახიობთან ერთად ვიმეორებდით მშვენიერ სტრიქონებს, აბა ხმის ამოღებას როგორ გაბედავ, როცა ესოდენ მოხიბლული ხარ ლექსის იზასეული წაკითხვის მანერით, შეუდარებელი არტისტიზმით.

ჩვენს ემოციებს აძლიერებდა მხატვარ ჟუჟუნა კალანდაძის მიერ სპექტაკლის სცენური გაფორმება, დალი მერაბიშვილის მუსიკალური აკომპანიმენტი, ჯაბა ფცქიალაძისა და ლევან ნანიტაშვილის მიერ სპექტაკლის ტექნიკური უზრუნველყოფა.

შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაგვიძლიერა სპექტაკლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონ იზას მიწვევამ მედიაკავშირ „ობიექტივზე,“ გადაცემაში „მარადიული ფასეულობები“ (წამყვანი ქალბატონები: ნატა თარხან-მოურავი და მანანა არველაძე).

როგორც სპექტაკლიდან, ასევე ტელეეკრანიდან კვლავ დაგვატყვევა ქალბატონმა იზამ. არ შეგვიძლია, ხაზი არ გავუსვათ, რომ ჩვენ სულ სხვა კუთხით დავინახეთ დიდი ოტია, ან განსვენებული საყვარელი მწერალი ოტია იოსელიანი. რა შეუდარებელია ქალბატონ იზას მიერ წაკითხული მისი ლექსი სიყვარულზე. ჩვენი აზრით, ეს მარტოოდენ ლექსი როდია, ესაა ნამდვილი ტრაქტატი, სიყვარულის შესაძლებლობების ფილოსოფიური ახსნა - შეფასება.

გვინდა, ყველა ჩვენი კლასელისა და თანატოლთა სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ „იმერეთის მასპინძელო,“ გვინდა, „სიყვარულის წილ სიყვარული“ მოგიზღათ და გითხრათ: ჩვენც, ჩვენც უსაზღვროდ გვიყვარხართ, საამაყო ქალბატონო!

ნათია ბურჯანაძე, მონიკა ბუცხრიკიძე,
მესამე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეები

P.S. აქვე გვინდა, მკითხველს მივაწოდოთ სასიამოვნო ინფორმაცია: თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლეში მიწვეულია ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი იზა ვეფხვაძის საავტორო სპექტაკლით „მოსიარულე სიკეთე,“ რომელიც ეძღვნება დიდი მსახიობის, იაკობ ტრიპოლსკის დაბადების 100 წლისთავს. სპექტაკლი გაიმართება 10 მარტს, საღამოს 17:00 საათზე.

ხარაგაულში პრობაციონერთათვის პირველ დახმარებაზე ტრენინგი ჩატარდა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსის გიორგიძისა და სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი - „თანადგომის“ ინიციატივით, მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ხარაგაულელ პრობაციონერებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა პროექტის „გაუმჯობესებული შესაძლებლობები პატიმრებისა და პრობაციონერების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის“ ფარგლებში მოეწყო. ცენტრის წარმომადგენლებმა: მაკა იოსელიანმა და ხათუნა სირაძემ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს დამსწრე საზოგადოებას შიდსისა და C და B ჰეპატიტის მავნებლობაზე, ისაუბრეს დაავადებების გამომწვევ მიზეზებსა და რისკ-ფაქტორებზე. გარდა ამისა, ქალბატონმა მაკა იოსელიანმა ყურადღება გაამახვილა იმ სერვისებზე, რასაც ბენეფიციარებს სარეაბილიტაციო ცენტრი „თანადგომა“ სთავაზობს. სრული თავშეკავება ნებისმიერი ფსიქოაქტიური ნივთიერებისაგან, მათ შორის, ალკოჰოლისგან და ნარკოტიკისაგან; ფიზიკური, ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება; დანაშაულებრივი ქმედების უარყოფა, განმეორებითი დანაშაულის შემცირება - ეს ის მცირე ჩამონათვალია, რა სერვისების მიღებაც პრობაციონერებს პროგრამის ფარგლებში შეეძლებათ. სარეაბილიტაციო კურსის ხანგრძლივობა ერთიდან სამ თვემდეა.

აღსანიშნავია, რომ ამავე დღეს მათთვის სკრინინგ-აქცია გაიმართა და ადგილზე უფასოდ გამოიკვლიეს შიდსი, C და B ჰეპატიტი. გარდა ამისა, ღონისძიების დასასრულს სტუმრებთან ერთად პრობაციონერებმა დაბა ხარაგაულის მიმდებარე ტერიტორიაზე ცაცხვის ხეები დარგეს.

როგორც ჩვენთან საუბარში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსმა გოჩა გიორგიძემ აღნიშნა, ღონისძიების მიზანი პრობაციონერების საზოგადოებაში ინტეგრაცია გახლდათ და მსგავსი აქტივობა იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებშიც გაიმართება. გოჩა გიორგიძემ მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა, მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის“ სამსახურსა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომის“ ქუთაისის ფილიალს.

მისამართი: ქ. ქუთაისი, ოცხელის ქუჩა N2
ცხელი ხაზი: (+995431) 26 50 27, 26 50 26
(+995) 574 22 34 96

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საპრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის, იუზა კელენჯერიძის, ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ ეფუძნება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების, ფრაქციის წესდებისა და პარტიის პლატფორმით განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებს. ფრაქცია შედგება სამი წევრისაგან, რომლებიც, რეგლამენტის შესაბამისად, გაერთიანებული არიან საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 14 მორიგი და რიგგარეშე სხდომა.

მოგეხსენებათ, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა. მისი მოსახლეობის 53-55% პროცენტი სოფლად ცხოვრობს. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ძმიმე სოციალური ფონის გამო საქართველო გარკვეული სირთულის წინაშე დადგა. ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში აგროპროდუქტების ხვედრითი წილი 9-10 პროცენტამდე შემცირდა და ბაზრის 80% იმპორტულმა პროდუქციამ დაიკავა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ხარაგაულში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი-მევენახეობა მკვეთრად დაქვეითდა. მეწყერული მოვლენების, ვაზის ხანდაზმულობისა და ნაჩქარევი პრივატიზაციის პირობებში ყურძნის სანედლეულო ბაზა მინიმუმამდე შემცირდა, რის გამოც რეგიონში შეწყდა ყურძნის სამრეწველო გადამუშავება. მიდგომა სოფლის აღორძინების კუთხით მკვეთრად უნდა ამაღლდეს. მომავალ წლებში დარგის დაფინანსება პროგრესულად უნდა გაიზარდოს. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა მოექცეს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის - მიწისა და წყლის - დაცვის, მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის საკითხი. ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ წევრებს აგრარული სექტორის ამოწევა და მევენახეობის განვითარება მიგვაჩნია ჩვენი რეგიონის მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად და მოვითხოვეთ ამ მიმართულებით 2019 წლის ბიუჯეტში 50,0 ათასი ლარის გამოყოფის აუცილებლობა. გასულ წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 10,0 ათასი ლარი, აქედან 1,5 ათასი ლარია გახარჯული, რაც სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, ხარაგაულში ზრდასრულთა განათლების ცენტრი იხსნება, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების პრობლემების მოგვარებას და მოსახლეობის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ გაუმჯობესებას.

ფრაქციის ფორმატში შედგა შეხვედრა ღარიხევის მოსახლეობასთან, სადაც საუბარი იყო სოფლის მეურნეობის მიმართულებით, კერძოდ, მევენახეობის განვითარების აუცილებლობაზე.

მოსახლეობას შევახსენე, რომ ჩვენს რაიონში ყურძნის სანედლეულო ბაზა მეტად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ბოლო 25 წლის განმავლობაში. მევენახეობიდან მიღებული შემოსავალი ჩვენი მოსახლეობის ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა. რაიონის მასშტაბით საშუალოდ 5000 ტონა საუკეთესო საშამპანურე და სუფრის ჯიშების (ციცქა, ცოლიკაური, პინო, ალიგოტე) ყურძენი მზადდებოდა. სოფელი ღარიხევიც საუკეთესო შამპანური ვაზის ჯიშებით იყო დატვირთული. წლების განმავლობაში მეწყერული მოვლენებისა და ხანდაზმულობის გამო ვაზი ამორტიზებული გახდა და ყურძნის მოსავლიანობა მინიმუმამდე შემცირდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, აგრარული მიმართულებით მევენახეობის განვითარება მთავარ პრიორიტეტად მივიჩნიეთ. ჩემი ინიციატივით ვაზის ნამყენი ნერგის წარმოებას ჩავუყარეთ საფუძველი. ამ საქმით დაინტერესებულ პიროვნებებთან ერთად დაბის ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე მცირე მოცულობის სანერგეც გავაშენეთ. მოწვეული გვყავდა გამოცდილი - პრაქტიკოსი ვაზის მყნობელები.

ჩვენი მთავარი მიზანია, რაიონის მასშტაბით ამ პროცესებში ჩავრთოთ მოსახლეობა. ეტაპობრივად დავინყოთ ვაზის აღდგენა და მევენახეობის განვითარებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება. უნდა გადავდგათ გაბედული ნაბიჯი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით სათანადო თანხის გამოყოფის თაობაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გასულ წელს საქართველო საბოლოოდ აღიარეს ვაზისა და ღვინის სამშობლოდ. დღითი დღე იზრდება ქართული ღვინისა და ალკოჰოლური პროდუქციის ხარისხი და პრესტიჟი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ეს ჩვენი ქვეყნის დიდი სიამაყეა და სამომავლოდ უფრო მეტი პერსპექტივები გველოდება.

ფრაქციის სხდომაზე მოსმენილ იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სამრეწველო საწარმოთა ფუნქციონირების საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ძირითად საფუძველს სამრეწველო საწარმოთა საქმიანობა წარმოადგენს, ამ სფეროში არსებული მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა.

ზვარის მინერალური წყლების ქარხანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი იყო, სადაც ათეულობით მუშა-მოსამსახურე იყო დასაქმებული. არაერთი მცდელობის მიუხედავად, საწარმო კვლავ უმოქმედოდაა. მცირე დატვირთვით მუშაობს ერთ დროს წარმატებული საწარმო, დიდვაკის გრეხილ-ავეჯის ფაბრიკა, სადაც მხოლოდ 6-7 პიროვნებაა დასაქმებული. ასევე მცირე დატვირთვით მუშაობს ხარაგაულის ღვინის საწარმოთა ბაზაზე შექმნილი სააქციო საზოგადოება „იმერი“. მიღებული ინფორმაციით, ნორმალურად ფუნქციონირებენ კოზმანისა და ხანდების ბუნებრივი ქვის კარიერები. დადებითი მაჩვენებლებით ხასიათდება ხარაგაულისა და კიცხის პურის ქარხნები. საყურადღებოა მარელისის საკალმახე შპს „ლომის მთა“ (ხელმძღვანელი ზაზა სახვაძე). მომხმარებელი კმაყოფილებას გამოთქვამს გამოშვებული პროდუქციის ხარისხით. ობიექტი მეტად პერსპექტიულია, არის წარმოების გაფართოების რეალური შესაძლებლობა. ორ წელზე მეტია ამოქმედდა კოოპერატივი, „მელვინეობა კიცხი“ (ხელმძღვანელი ჰამლეტ ბერაძე), რომელიც ნორმალურად ფუნქციონირებს. ვარძიის ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია მეფუტკრეობის კოოპერატივი (ხელმძღვანელი ივანე ხიჯაკაძე). რაიონში ეს დარგი ტრადიციული და პერსპექტიულია, პროდუქცია საკმაოდ ხარისხიანია. მსოფლიო ბაზარზე ქართულ თაფლზე მოთხოვნილება დიდია, არსებობს რეალიზაციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის ყურადღების საგანს წარმოადგენდა მოსახლეობის მიერ დაყენებულ სოციალურ-ეკონომიკურ თუ სხვა პრობლემურ საკითხებზე რეაგირება. ერთ-ერთი იყო მუნიციპალიტეტში პირუტყვის სასაკლაოს აუცილებლობა, რაც წლების განმავლობაში აწუხებდა მოსახლეობას. 2014 წელს ჩვენმა ფრაქციამ ინიცირების წესით დააყენა საკითხი ერთჯერადი თანხის გამოყოფის თაობაზე სასაკლაოს მოსაწყობად, რომლის განხორციელება 2015 წლის ბიუჯეტში შეუძლებელი გახდა. პირადად ჩემს ვალდებულებად ვთვლიდი ამ საკითხის გააქტიურებას, დღეს მოსახლეობას უნდა ვაუწყოთ, რომ საქმე ადგილიდან დაიძრა. ადგილობრივმა მკვიდრმა პავლე ალავიძემ ყველა პროცედურის დაცვით დაიწყო დაბის ტერიტორიაზე აღნიშნული ობიექტის მშენებლობა, რომელიც რამდენიმე თვეში დამთავრდება შესაბამისი სტანდარტითა და მოთხოვნილების გათვალისწინებით. მისი ინფორმაციით, საწარმოში დასაქმებული იქნება 12-15 პიროვნება და მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება საიმედო, უვნებელი პროდუქციით.

ძვირფასო კოლეგებო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებიდან გამომდინარე, ხარაგაულის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესი ძალაში შევიდა 2014 წლის 6 ოქტომბრიდან. 2014-2015 წლებში ეს საპატიო ტიტული სულ 13 ღირსეულ პიროვნებას მიენიჭა. სახალხო დღესასწაული „ხარაგაულელობა“ ვერ შედგა ფინანსური პრობლემის გამო, მაგრამ ხარაგაულის საპატიო მოქალაქის მინიჭება ნებისმიერ კულტურულ ღონისძიებაზე შეიძლება და არც მნიშვნელოვანი თანხებია საჭირო. სამი წელი გადის 28 დეკემბერს, რაც ეს ტიტული არავისთვის მიგვინიჭებია. კანონით ამ ღირსების მინიჭება მუნიციპალიტეტის მერის პრეროგატივაა. კადნიერებაში ნუ ჩამითვლით-ამ საქმის ინიციატორი მე ვიყავი და ამ საპატიო ტიტულის მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარეც ვარ. მოქალაქეების შემოქმედების, ღვაწლის და ამაგის დაფასება მეტად საყურადღებო და აუცილებელია. ჩემი თხოვნაც არის და მოთხოვნაც ამ საპატიო პროცესის განახლება.

იყო ხალხის რჩეული, უდიდესი ჯილდოა, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ, მეტი შრომაა საჭირო უკეთესი ნარმატებების მისაღწევად.

უღრმესი მადლობა კოლეგებს გულისხმიერებისათვის და მეგობრობისათვის, მადლობა საკრებულოს თითოეულ თანამშრომელს გულითადი შრომისათვის.

ფრაქციის თავმჯდომარე:
იუზა კელენჯერიძე

განცხადება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ზრდასრულთა განათლების ცენტრი აცხადებს მსურველთა მიღებას შემდეგი სპეციალობების შესასწავლად:

მეფუტკრეობის, ხეზე კვეთის, თექის, ჭრა-კერვის, ტრადიციული ქართული სამზარეულოს, ფეხსაცმლის დიზაინის, ქსოვის (მაკრამეს), ტრადიციულ ხალხურ ინსტუმენტებზე დაკვრის.

სნავლის მსურველები უნდა იყვნენ 18 წელს ზემოთ, ასაკი განუსაზღვრელია.

დაინტერესებულმა პირებმა სასწავლებლის ადმინისტრაციაში უნდა წარადგინონ განცხადება და პირადობის მოწმობა.

მისამართი: დაბა ხარაგაული,
სოლომონ მეფის ქუჩა N19ა
ტელ: 577 64 04 00

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორის: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12